დანართი #2

„დამტკიცებულია“

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის 2017 წლის -08- -2017-

№02-03/41 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“

სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით შექმნილი კომისიის

დებულება

მუხლი 1. კომისია, მისი შემადგენლობა

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით იქმნება მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში „კომისია“).
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
3. ა) კომისიის თავმჯდომარე - სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი;

   ბ) კომისიის წევრი - იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;

   გ) კომისიის წევრი - სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების კოორდინატორი;

   დ) კომისიის წევრი - გაყიდვებისა და დონორების მოზიდვის მენეჯერი;

   ე) კომისიის წევრი - აუდიტორიისა და პრაქტიკების კვლევის სპეციალისტი.

მუხლი 2. კომისიის მუშაობის პროცედურა

1. კომისია იკრიბება სულ ცოტა კვირაში ერთხელ, სოციალური რეკლამის ეთერში განთავსების მოთხოვნით შემოსული განცხადებების სიმრავლის შესაბამისად.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა (სულ ცოტა 3 წევრი).
3. სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება

1.დამკვეთის მიერ ოფიციალური განცხადებისა და რგოლის მაუწყებელში წარმოდგენის შემდეგ, კანცელარია მასალებს წარუდგენს მაუწყებლის დირექტორს. დირექტორი მასალების ვიზირებას ახდენს კომისიასთან.

2. კომისია განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და მსჯელობს რეკლამისათვის სოციალური სტატუსის მინიჭების თაობაზე.
3. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) რეკომენდაციით მიმართავს დირექტორს წარმოდგენილი მასალისათვის სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

ბ) რეკომენდაციით მიმართავს დირექტორს წარმოდგენილი მასალისათვის საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

გ) წარმოდგენილი მასალისათვის უარყოფითი პასუხის თაობაზე.

4. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ რეკლამის დამკვეთს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში.
5. მაუწყებლის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.